ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა და საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა კომისიების გაერთიანებული სხდომის
ოქმი N10

ქ.ზუგდიდი **1 ივნისი 2023 წელი**
14:00 სთ

2023 წლის 1 ივნისს გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა და საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა კომისიების გაერთიანებული სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ირაკლი გოგოხია, თაზო ფაცაცია, კახაბერ ჩანგელია, თამუნა ჯიქია, ოთარ ქადარია, დავით ფიფია, გიორგი კორტავა, სოსო გოგოხია, დავით ვეკუა, დარეჯან გაბედავა, ბეჟან შანავა.

სხდომას არ ესწრებოდნენ: გიორგი სორდია (შვებულება), გიგა ფარულავა, ჯონი ჯიქია, ლაშა ბეჭვაია, მაია კალანდია (შვებულება).

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: .....-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის არქიტექტურის განყოფილების უფროსი; .....-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის განყოფილების უფროსი; .....-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი; .....-შპს „მშენებელი 2020“ -ის წარმომადგენელი

სხდომის მდივანი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი .....

სხდომის დაწყებამდე კომისიის წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის შემდეგ სხდომას ესწრებოდა კომისიის 16 წევრიდან 11 წევრი.

კომისიის თავმჯდომარის დავალებით სხდომას უძღვებოდა კომისიის წევრი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კახაბერ ჩანგელია (კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას შვებულებაში ყოფნის გამო-ბრძანება .....).

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (7643.00კვ.მეტრი), სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (სამსხვრევ-დამხარისხებელი) საწარმოს მშენებლობისთვის, განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: კახაბერ ჩანგელია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

თანამომხსენებელი: .....-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის არქიტექტურის განყოფილების უფროსი

2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განმუხურის ადმინისტრაციული ერთეულის სანაპირო ზოლზე, ბულვარის (პლაჟის) ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ქონებების ელექტრონული აუქციონის ფორმით იჯარის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე

(უზუფრუქტუარი შპს ,,ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS”), საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შპს ,,ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS”-ისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: კახაბერ ჩანგელია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

თანამომხსენებელი: .....-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების მართვის სამსახური, ქონების მართვის განყოფილება

3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრის“ ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების (მუყაოს ქაღალდის) ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრისათვის“ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: კახაბერ ჩანგელია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

თანამომხსენებელი: .....-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების მართვის სამსახური, ქონების მართვის განყოფილება

4. შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS-ის“ საკუთრებაში არსებული, 121 ერთეული რკინის (ხე მასალით მოწყობილი) და 65 ერთეული პლასტმასის შეზლონგის გაქირავებისას ქირის საწყისი წლიური საფასურის (2023 წლის ზაფხულის საკურორტო სეზონის პერიოდი) განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“-ისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: კახაბერ ჩანგელია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

თანამომხსენებელი: .....ა-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების მართვის სამსახური, ქონების მართვის განყოფილება

5. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უძრავი ქონების (უზუფრუქტუარი შპს ,,ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS”) პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით (პირობებით) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე საიჯარო ქირის წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ შპს ,,ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS”-ისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: კახაბერ ჩანგელია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

თანამომხსენებელი: .....-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების მართვის სამსახური, ქონების მართვის განყოფილება

6. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემისას 2020 წლის 18 სექტემბრის N3 იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე მოიჯარე- მ.მ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების

დარღვევისათვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან განთავისუფლებაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: კახაბერ ჩანგელია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

თანამომხსენებელი: .....-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების მართვის სამსახური, ქონების მართვის განყოფილება

7. სხვადასხვა საკითხები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს კენჭი ეყაროს სხდომის დღის წესრიგს წარმოდგენილი რედაქციით.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **პირველ საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის თავმჯდომარის კახაბერ ჩანგელიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 23 მაისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-242314359 მოამრთვა (რეგისტრაციის N12-25231433-25 23.05.2023), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (7643.00კვ.მეტრი), სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (სამსხვრევ-დამხარისხებელი) საწარმოს მშენებლობისთვის, განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცებას.

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ჩანგელიამ განმარტა: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 16-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობის გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილების 16-ე მუხლის მე-1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, აგრეთვე შპს ,,მშენებელი 2020“-ის დირექტორის ლაშა ბარამიას მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 23 მაისის N24-242314259 წერილის საფუძველზე, დამტკიცდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №43.11.42.264; 7643.00კვ.მეტრი), სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (სამსხვრევ-დამხარისხებელი) საწარმოს მშენებლობისთვის, განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია თანდართული დანართის შესაბამისად და დაევალოს შპს ,,მშენებელი 2020“-ის (ს/ნ: .....) დირექტორს ..... განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტის შემუშავება დამტკიცებული კონცეფციის შესაბამისად;

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე

(7643.00კვ.მეტრი), სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (სამსხვრევ-დამხარისხებელი) საწარმოს მშენებლობისთვის, განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ჩაითვალოს მომზადებულად და.

კომისიის წევრები თაზო ფაცაცია და დავით ვეკუა კომისიის სხდომაზე მოვიდნენ პირველი საკითხის კენჭისყრის შემდეგ.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეორე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის თავმჯდომარის კახაბერ ჩანგელიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 29 მაისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423149179 მოამრთვა (რეგისტრაციის N12-252314910-25 29.05.2023), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განმუხურის ადმინისტრაციული ერთეულის სანაპირო ზოლზე, ბულვარის (პლაჟის) ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ქონებების ელექტრონული აუქციონის ფორმით იჯარის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე (უზუფრუქტუარი შპს ,,ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS”), საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შპს ,,ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS”-ისთვის თანხმობის მიცემას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხიამ აღნიშნა: „მე მაინტერესებს ნაკვეთისა და ინვენტარის ფასები. 100 ლარი გამოდის მარტო მიწის საფასური ყოველდღიური გადასახდელი მოიჯარისთვის, ამას დაემატება ორი ლარი შეზლონგის და სამი ლარი საჩრდილობელის ფასი. მოსახლეობისთვის თვითღირებულება გაიზრდება შარშანდელთან შედარებით და არ იქნება ხელმისაწვდომი, რადგან ვინც იჯარით აიღებს ამ მიწის ნაკვეთს და ინვენტარს (შეზლონგი და საჩრდილობელი) მოგება ხომ უნდა იმუშაოს, აქედან გამომდინარე, სავარაუდოდ ეს აუქციონი ჩავარდება.“

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ჩანგელიამ განმარტა: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებისთ გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 21-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირების ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 07 დეკემბრის N94 დადგენილების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის, შპს ,,ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS”-ის 2023 წლის 15 მაისის N42 წერილის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 29 მაისის N24-2423149179 წერილის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შპს ,,ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS”, განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში სანაპირო ზოლზე, ბულვარის (პლაჟის) ტერიტორიაზე საჩრდილობელი ქოლგებისა და შეზლონგების განთავსების ადგილზე N43.29.44.061 საკადასტრო კოდზე მდებარე ქვემოთ ჩამოთვლილი უძრავი ქონების - 9 (ცხრა) ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების, ელექტრონული აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით იჯარის წესით გადაცემაზე (2023 წლის ზაფხულის საკურორტო სეზონის პერიოდი) საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს:

1.1განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 377,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი:

(N43.29.44.061) ობიექტი N1 - საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს – 15 600 (თხუთმეტი ათას ექვსასი) ლარით.

1.2. განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 696,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N43.29.44.061) ობიექტი N2 - საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს – 28 800 (ოცდარვა ათას რვაასი) ლარით.

1.3. განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 864,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N43.29.44.061) ობიექტი N3 - საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს – 34 800 (ოცდათოთხმეტი ათას რვაასი) ლარით.

1.4. განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 954,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N43.29.44.061) ობიექტი N4 - საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს – 38 400 (ოცდათვრამეტი ათას ოთხასი) ლარით.

1.5. განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 385,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N43.29.44.061) ობიექტი N5 - საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს – 15 600 (თხუთმეტი ათას ექვსასი) ლარით.

1.6. განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 440,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N43.29.44.061) ობიექტი N6 - საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს – 18 000 (თვრამეტი ათასი) ლარით.

1.7. განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 726,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N43.29.44.061) ობიექტი N7 - საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს – 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარით.

1.8. განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 1155,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N43.29.44.061) ობიექტი N8 - საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს – 46 800 (ორმოცდაექვსი ათას რვაასი) ლარით.

1.9. განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 1500,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N43.29.44.061) ობიექტი N9 - საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს – 60 600 (სამოცი ათას ექვსასი) ლარით.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განმუხურის ადმინისტრაციული ერთეულის სანაპირო ზოლზე, ბულვარის (პლაჟის) ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ქონებების ელექტრონული აუქციონის ფორმით იჯარის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე (უზუფრუქტუარი შპს ,,ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS”), საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შპს ,,ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS”-ისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარეგდინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მესამე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის თავმჯდომარის კახაბერ ჩანგელიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 29 მაისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423149232 მოამრთვა (რეგისტრაციის N12-25231502-25 30.05.2023), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრის“ ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების (მუყაოს ქაღალდის) ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრისათვის“ თანხმობის მიცემას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

აზრი გამოთქვეს: მერიის ქონების მართვის განყოფილების უფროსმა **განაცხადა:** ეს არის სეპარირების შედეგად შეგროვებული, კომპრესირებული (დაპრესილი) გოფრირებული ყუთები (60 ტონა), რომლებიც დასაწყობებულია კერძო ფასიან საწყობში, რაშიც ქირას იხდის დასუფთავების სამსახური. 0.35 ლარი არის საწყისი ფასი, რომელმაც შეიძლება მოიმატოს.

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ჩანგელიამ განმარტა: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 1061 მუხლის მე-10 პუნქტის, ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირების ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 07 დეკემბრის N94 დადგენილების მე-2 მუხლის, მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, შპს აუდიტორული ფირმა ,,ლაზიკა აუდიტის“ 2023 წლის 08 მაისის N23/125 აუდიტორული დასკვნის შესაბამისად და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 29 მაისის N24-2423149232 წერილის საფუძველზე, მიეცეს თანხმობა შპს ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრს“, მის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების (მუყაოს ქაღალდი), ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზებისას ერთი კგ. მუყაოს ქაღალდის საწყისი საპრივატიზებო საფასურის ოდენობა განისაზღვროს 0,35 ლარით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრის“ ბალანსზე რიცხული მოძრვი ქონების (მუყაოს ქაღალდის) ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრისათვის“ თანხმობის მიცემის თაობაზე“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარეგდინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეოთხე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის თავმჯდომარის კახაბერ ჩანგელიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 30 მაისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423150175 მოამრთვა (რეგისტრაციის N12-252315018-25 30.05.2023), რომელიც შეეხება შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS-ის“ საკუთრებაში

არსებული, 121 ერთეული რკინის (ხე მასალით მოწყობილი) და 65 ერთეული პლასტმასის შეზლონგის გაქირავებისას ქირის საწყისი წლიური საფასურის (2023 წლის ზაფხულის საკურორტო სეზონის პერიოდი) განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“-ისთვის თანხმობის მიცემას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხიამ განაცხადა: „როგორც ვიცი, საუბარია 9 ლოკაციაზე ამ შეზლონგების განსათავსებლად, თუმცა 121 შეზლონგი არ არის საკმარისი ამ 9 ლოკაციისთვის. მაინტერესებს შესაძლებელია თუ არა, პირი, რომელიც იჯარით აიღებს ამ ლოკაციებს, თავისი საკუთარი შეზლონგები განათავსოს გარდა მერიის მიერ აუქციონზე გატანილისა.“

აზრი გამოთქვეს: მერიის ქონების მართვის განყოფილების უფროსმა **განმარტა:** „ამაზე პასუხი ანაკლია-რესორტის წარმომადგენელს ექნება.“

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ჩანგელიამ აღნიშნა: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 1061-ე მუხლის მე-10 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის N94 დადგენილების, შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS-ის“ 2023 წლის 05 მაისის №39 წერილისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 30 მაისის N24-2423150175 წერილის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“, მის საკუთრებაში არსებული, 121 ერთეული რკინის (ხე მასალით მოწყობილი) და 65 ერთეული პლასტმასის შეზლონგის გაქირავებისას ქირის საწყისი წლიური საფასურის (2023 წლის ზაფხულის საკურორტო სეზონის პერიოდი) ოდენობა განესაზღვროს შემდეგნაირად:

1.2 ერთი ერთეული რკინის (ხე მასალით მოწყობილი) შეზლონგის გაქირავების საწყისი წლიური ქირის საფასური განისაზღვროს 1095 ლარით.

1.3 ერთი ერთეული პლასტმასის შეზლონგის გაქირავების საწყისი წლიური ქირის საფასური განისაზღვროს 730 ლარით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS-ის“ საკუთრებაში არსებული, 121 ერთეული რკინის (ხე მასალით მოწყობილი) და 65 ერთეული პლასტმასის შეზლონგის გაქირავებისას ქირის საწყისი წლიური საფასურის (2023 წლის ზაფხულის საკურორტო სეზონის პერიოდი) განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“-ისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარეგდინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეხუთე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის თავმჯდომარის კახაბერ ჩანგელიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 30 მაისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-242315074 მოამრთვა (რეგისტრაციის N12-25231509-25 30.05.2023), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უძრავი ქონების (უზუფრუქტუარი შპს ,,ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS”) პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით (პირობებით) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე საიჯარო ქირის წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ შპს ,,ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS”-ისთვის თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ჩანგელიამ აღნიშნა: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 21-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირების ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 07 დეკემბრის N94 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის, შპს ,,აკვაფან”-ის (ს/ნ 445511107) 2023 წლის 17 თებერვლის განცხადების და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 30 მაისის N24-242315074 წერილის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შპს ,,ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS”, შპს ,,აკვაფანის“ მიერ საპარკინგე სივრცეების მოწყობის მიზნით, განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 45278,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N43.29.42.609) 3580,00 კვ.მ მიწის ნაკვეთის და 7773,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N43.29.42.501) 330 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით (პირობებით) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე (2023 წლის 15 ივნისი - 2023 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით პერიოდი), რომლის საიჯარო ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს 24 000 (ოცდაოთხი ათასი) ლარის ოდენობით.

ასევე „აკვაფანი“-ს განცხადებაში საუბარია, რომ მათ მიერ ფასიანი პარკინგის ინფრასტრუქტურის მოსაწყობად (რომელიც შემდეგ რჩება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში) გაწეული ფინანსური ინვესტიციები ჩაითვალოს იჯარის ხარჯებად. თუ ხარჯი 6000 ლარზე მეტი იქნა „აკვაფანი“ საკუთარ თავზე იღებს მის დამატებას, ხოლო 6000 ლარზე ნაკლები ხარჯის შემთხვევაში დარჩენილ თანხას ანაკლია რესორტის ანგარიშზე ჩარიცხავს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უძრავი ქონების (უზუფრუქტუარი შპს ,,ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS”) პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით (პირობებით) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე საიჯარო ქირის წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ შპს ,,ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS”-ისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარეგდინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეექვსე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის თავმჯდომარის კახაბერ ჩანგელიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 31 მაისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-242315126 მოამრთვა (რეგისტრაციის N12-252315117-25 31.05.2023), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემისას 2020 წლის 18 სექტემბრის N3 იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე მოიჯარე - მ.მ-ს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან განთავისუფლებაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ჩანგელიამ აღნიშნა: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ე“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში მიღებული მოქ. მ.მ-ს ძმის ი.მ-ს (ქონების ფაქტიური მოსარგებლე პ/ნ ----------) 2023 წლის 27 აპრილის და 2023 წლის 18 მაისის განცხადებების (რეგისტრ. N19/242311789-24; N19/242313870-24) და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 31 მაისის N24-242315126 წერილის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ელექტრონული აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გაცემული უძრავი ქონების (მის: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. N95/მარცხენა სანაპიროს ქუჩაზე მდებარე 1675,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა-ნაგებობაში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N---------) განთავსებული 11,39კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი) მოიჯარეს ფ/პ მ.მ- ს (პ/ნ ----------), იჯარის N3 ხელშეკრულებით (18.09.2020წ) ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან განთავისუფლების შესახებ.

კახაბერ ჩანგელიამ ასევე აღნიშნა, რომ ბატონი მ.მ. პირველი წერილით მერიას სთხოვა დავალიების გრაფიკის მიხედვით გადახდა, მაგრამ აღნიშნულ საკითხზე მერიამ უარი უპასუხა და მოსთხოვა აღნიშნული დავალიანების გადახდა.

მ.მ-ს დავალიანება 3012.55 ლარის ოდენობით, რომელიც გადაიხადა, ასევე ჯარიმაც გადახდილია, დღეს წარმოდგენილ წერილში საუბარია პირგასამტეხლო თანხისგან განთავისუფლებაზე, მას არ აქვს საშუალება ამ თანხის გადახდის, რადგან ყავს ოთხი შვილი, მათგან ერთერთი არის მძიმე ავადმყოფი, რომელსაც პერიოდულად სჭირდება ძვირადრირებული მედიკამენტები და ითხოვს პირგასამტეხლოს თანხის ნაწილში შეღავათს (განთავისუფლებას).

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

აზრი გამოთქვეს: თაზო ფაცაციამ განაცხადა, რომ მ.მ.-ს დაინტერესების შემთხვევაში შეუძლია წარმოადგინოს ავადმყოფი შვილის ჯანმრთელობის შესახებ დოკუმენტაცია. ასევე თაზო ფაცაციამ აღნიშნა, რომ მ.მ.-ს დავალიანება, რაც ქონდა ყველაფერი მთლიანად გადახდილი აქვს, საუბარია მხოლოდ პირგასამტეხლოს თანხაზე და არა მთლიან დავალიანებაზე. ხელშეკრულების წერილის ტექსტურ ნაწილში იყო ხარვეზი, სადაც ყურადღების მიღმა დარჩა პირგასამტეხლოს თანხა, რომელიც დაგროვდა და ავიდა 17 000 (ჩვიდმეტი ათასი ლარი) ლარამდე. მოქალაქე ითხოვს ამ თანხასთან დაკავშირებით შეღავათს, რომლის განხორციელება არის საკრებულოს პრეროგატივა.

აზრი გამოთქვეს: დარეჯან გაბედავამ განაცხადა, რომ სასურველია ბატონმა მ.მ. საკრებულოს სხდომისთვის წარმოადგინოს დოკუმენტაცია მისი შვილის ავადმყოფობის შესახებ.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემისას 2020 წლის 18 სექტემბრის N3 იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე მოიჯარე - მ.მ.-ს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან განთავისუფლებაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარეგდინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით წინადადებები არ გამოთქმულა.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის თავმჯდომარე,
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

კახაბერ ჩანგელია

ხელმოწერილია